





საპარტიველო მშრომელთა კავშირი — საქართველოს სახალხო ერთიანობის პარტია (შემდგომ — სმკ-სსეპ) არის საერთო იდეებისა და ინტერესების საფუძველზე ნებაყოფლობით შეკავშირებულ სხვადასხვა სოციალური ფენისა და ეროვნების წარმომადგენელთა დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც არსებულ რეალობაში გაცილებით უფრო აქტიურად მონაწილეობს (მუშათა, გლეხთა, წვრილ მეწარმეთა, მოსამხარებელთა, ინტელიგენციის, საოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილ ადამიანთა) სასოციალურ ინტერესების დასაცავად, სოციალურ ურთიერთობაში უფრო აქტიურად მონაწილეობს და საქართველოს სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის. სმკ-სსეპ-ის უზენაესი მიზანია საინფორმაციო დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა — საქართველოში მცხოვრებ ყველა ერისა და სოციალური ფენის საკეთილდღეობად.

სმკ-სსეპ თვლის, რომ პიროვნული და ეროვნული თავისუფლება მიღწევა მხოლოდ ყველა ერისა და სოციალური ფენის ურთიერთთანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებული ნორმათა საფუძველზე. სმკ-სსეპ ერთგულია პლურალიზმისა (მსოფლმხედველობრივი, პოლიტიკური) და საგარეო პრინციპებისა. ამიტომაც იგი გადაჭრით ილაშქრებს ერთი რომელიმე მსოფლმხედველობრივი სისტემის სხვაზე გაბატონების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ.

სმკ-სსეპ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი არ აღიარებს აქამდე არსებულ ერთ რომელიმე იდეოლოგიურ მოძღვრებას. სმკ-სსეპ-ის საქმიანობა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეფუძნება ზოგადსაკაცობრიო იდეალებსა და ღირებულებებს.

პოლიტიკური თვალსაზრისით სმკ-სსეპ თვლის, რომ მის წინაშე დასახული მიზნების განხორციელება და შესრულება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის გზით. ამასთან, სმკ-სსეპ ყოველმხრივ უჭერს მხარს ცალკეულ რეგიონთა თვითმმართველობის განვითარების იდეას.

სმკ-სსეპ-ის მიზანია, რომ მშარმოებელი კლასების (ამ შემთხვევაში, მუშათა და გლეხთა) არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე, ვიდრე აქამდე, სახელმწიფო გამუდმებით უგულებელყოფდა მშრომელთა ადამიანის სასოციალურ ინტერესებს. საქმის ვითარება არ შეცვლილა 1917 წლის სოციალური რევოლუციის შემდეგაც. მოიპოვა რა მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის მხარდაჭერა, ე. წ. „საბჭოთა რუსეთის“ დიქტატორა

მხოლოდ კომპიუტერ ღონისძიებებსა და გულსხვ დაბირებებს დასაჯრდა. ამის შედეგად მუშათა კლასისა და გლეხობის (იხვევითადაც, საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებს — ხელისნებისა და მათთან გათანაბრებულ სოციალურ ჯგუფებს, აგრეთვე კერძო მწარმოებლებს, ინტელიგენციას) უარესად სავალალო საარსებო პირობები შეექმნათ. ე. წ. „მუშათა და გლეხთა სახელმწიფოში“ ყველაზე უკონელი და ღარიბ-ღატაკი ისევე ეს ორი მწარმოებელი კლასი აღმოჩნდა. მთლიანად იქნა განადგურებული შეძლებულ და საშუალო გლეხთა (ე. წ. „კულაკთა“), აგრეთვე ინდივიდუალური მწარმოებელთა და კერძო მესაქუთრეთა

# საპარტიველო მშრომელთა კავშირი — საქართველოს სახალხო ერთიანობის პარტია დეკლარაცია

## (ქირითადი პრინციპი)

სოციალური ფენები, უმოწყალოდ იქნენ გაუღებელი ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლები. ამრიგად, ე. წ. „პროლეტარიატის დიქტატორის“ სახელით აშკარად ანტიხალხური, ანტიდემოკრატიული ძალები მოქმედებდნენ. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომი მოვლენები, კერძოდ, სამოქალაქო და დაპყრობითი ომები მკაფიოდ აშუალებდნენ ამ ძალებს იმპერიულ სულისკვეთებას.

ყოველივე ამის გამო, სმკ-სსეპ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ოცინათმეოთხეულობის წლებში, ისევე როგორც, მომდევნო პერიოდის რეპრესიები არაერთხელ შემაშფიცებდა არ შეესაბამებოდა მშრომელთა ფართო ფენების, ე. წ. „საბჭოთა კავშირის“ არც ერთი ერის ინტერესებს. ეს იყო დემოკრატიული პროცესების ხელოვნური შეწყვეტა-ამოძიკვის დანაშაულებრივი ცდები, რის მიზნითაც შეისაძლებელი ხდებოდა რუსეთის იმპერიის რესტავრაცია — მოდერნიზება, 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შედეგად განთავისუფლებული ხალხების რენეჟისა და ახლადმოვლენილ ტრანათა ძალაუფლების განმტკიცება.

შუბი ხალხთაში ვერ დაიმალებოდა. დროთა ვითარებაში მზარდა გარდუვალი განსვითქილება მწარმოებელ კლასებსა და ხელისუფლებას შორის, რასაც ეს უკანასკნელი ყოველმხრივ ნიღბავდა ე. წ. „მშრომელ-არისტოკრატის“ დაწინაურებით, მათი ყოფის აქტიური პროპაგანდის მიწვევებით. პოლიტიკურმა კრიზისმა ეკონომიკური დეპრესია გამოიწვია. ტოტალიტარულ სახელმწიფოში მიმ-

დინარე ობიექტური ხასიათის შეუქცევადი პროცესების გამო, თანდათან მოიცა ძალი დემოკრატიულიმ ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. სახელმწიფო სრული ეკონომიკური და პოლიტიკური კრახის წინაშე აღმოჩნდა. შექმნილ ვითარებაში სმკ-სსეპ მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას, ქვეყნის ყველა პატიოსან ადამიანს — ყველა მშრომელს, მიუხედავად ეროვნებისა, მსოფლმხედველობრივი მრწამსისა, სქესისა და ასაკისა, ერთიანობისა და სოლიდარობისა, ამასთან, სმკ-სსეპ მოითხოვს დაუყოვნებლივ მიენიჭოს რეალური სოციალური სტატუსი და სამოქალაქო უფლებები საქართველოს მუშათა კლასსა და გლეხობას, წვრილ მეწარმეებს, მოსამხარებელთა და ინტელიგენციის,

მათი დანაშაულებრივი ქმედების გამოაშკარავების პერსპექტივას ქმნის. ყოველივე ამის გამო, სმკ-სსეპ მოუწოდებს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობას, პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებებსა და პროფესიულ კავშირებს თანამშრომლობისა და ერთიანობისაკენ. ამასთან ერთად, სმკ-სსეპ დაბეჯითებით მოითხოვს, შეწყდეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დისკრედიტაციის, მისი გათიშვის, აგრეთვე საქართველოში ეთნოკრიზისების ინსპირირების ყოველგვარი ცდა.

სმკ-სსეპ მიანიჭა, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს საქართველო-

ა მოქმედებას. სრული გასაქანის უნდა მიეცეს კერძო მეწარმეობასა და კოოპერაციულ საქმიანობას. დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს ამ სფეროში დღემდე არსებული უმართებულო შეზღუდვები, მნიშვნელოვან შემცირდეს საშემოსავლო და სხვა გადასახადები. კერძო მეწარმეობა და კოოპერაციული საქმიანობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოსამხარებლების (მათ შორის, ხელისნებისა და მათთან გათანაბრებული სხვა სოციალური ჯგუფების, მავალითად, მძღოლების, მდივნების, მშენებელ-მემანქანებისა, ასოთამშყობებისა და სხვა) შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, მათი შრომის ანაზღაურების გადიდების საკითხებს. საერთო კრიზისის, ბუნებრივი, ვერც ინტელიგენცია ასცდა. ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი სასტიკ სოციალურ დისკრიმინაციას განიცდის. შრომის დაბალი ანაზღაურება, უზენაესი, სამეცნიერო და შემოქმედებითი სარბიელის უქონლობა და მისთანანი, — აი, დღევანდელი ინტელიგენციის ქვეყნის წინაშე მდგარი გადაუღებელი პრობლემები. ყოველივე ეს დიდად აქვეითებს ინტელექტუალურ პოტენციალს, ბადებს გულგრილობას და ქმნის ინტელიგენციის ცალკეულ წარმომადგენელთა დეკლასირების საფრთხეს. ამ დილემის გადასაჭრელად ინტელიგენციას უნდა მიეცეს კერძო და კოოპერაციული საქმიანობის შეუზღუდავი უფლებები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ჩვენი საზოგადოების სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილ ადამიანთა (ობოლთა, ბავშვთა, მარტოხელთა, ხანდაზმულთა, ინვალიდთა) პრობლემების მოგვარებას, რადგანაც დიდი სოციალური, ეროვნული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური განახლების პროცესში, უწინარეს ყოვლისა, სწორედ მათ დატყვევბათ თავს გარდამავალი პერიოდის ყველა განსაცდელი და უიღბლობა. სმკ-სსეპ თვლის, რომ მხოლოდ აღნიშნულ მოთხოვნათა რეალიზაციის გზით არის შესაძლებელი საქართველოს სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ერისა და სოციალური ფენის წარმომადგენელთა საკეთილდღეობად.

სხვა გამოსავალი არ არსებობს. სახელმწიფო ხალხის სამსახურში უნდა იდგეს.

შეინიშნება. გთხოვთ, აქტიურად ჩაებათ საქართველოს მშრომელთა კავშირის — საქართველოს სახალხო ერთიანობის პარტიის ხალხიანაციო კომიტეტის საქმიანობაში. გთხოვთ, თქვენი მოსაზრებები გავცნობოთ შემდეგ ტელეფონებით: 81-90-01; 86-77-98, 98-70-82, 98-70-49.

# როგორ ვებრძოლოთ უხილავ მტერს

...1986 წლიდან (მას შემდეგ, რაც ჩერნობილის ტრაგედია მოხდა) 1990 წლამდე არ იცის ქართველმა მოსახლეობამ როგორ ხორცს ჰკვამს... ვის უნდა დაეპირებოთ? ისევ რომელიმე ქართველს? ძნელია ბრალი დასდო შენს სისხლსა და ხორცს იმაში, რისთვისაც მესამე, ან მეოთხე, ან მეხუთე თაობა გენეტიკური კატასტროფის წინაშე დადგება... უხილავი მტერი ყველაზე საშიში მტერია. რთი ვიმართლებთ თავს რადიონუკლიდებით დამაბინჯებელი თაობის წინაშე — რომ არ შეგვეძლო დაბინძურებული პროდუქტების უკან გაგზავნა? თუ რომ 1986 წლიდან 1990 წლამდე საქართველოს სანეპიდსამსახური წინ ვერ აღუდგა ცენტრის ბრძანებებს? თუ, რომ ვერ გა-

ვაუქმეთ რადიონუკლიდების საკვებ პროდუქტებში დასაშვები რესპუბლიკური ნორმატივები? იქნებ მათთვის ის იქნება ნუგეში თუ ვეტყვი, რომ კი გაუმკვდით მოწამულ ხორცს, მაგრამ სინდისი გვქენჯინდაო?! მოკლედ, საშინელი ბრალდებების წინაშე ვდგებით. ამის გამო, ქ. თბილისის საქალაქო სანეპიდსადგურის შრომის პიკეტის ცენტრალური ლაბორატორიის გამგემ, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა მაუგლი ჩხაკაძემ 11 ივნისს გამოაცხადა უფალო შიმშილობა ბიოლოგიური ომის წინააღმდეგ... — მე, როგორც პიკეტის დასაერთოდაც, ქართველთა ჯანსრთელობის დაცვის სამსახურს ცენტრის ბრძანებები კი არა, ერთადერთი რამ უნდა გვაღელვებდეს — ხალხის ორგანიზმში არ შე-

აღწიოს არც ერთმა გრამი შხამი... 1986 წელს, ჩერნობილის ავარიის მეოთხე დღეს საბჭოთა მთავრობამ რადიონუკლიდების დასაშვები დოზის ბარბაროსული ნორმატივი მიიღო მოკავშირე რესპუბლიკებში გასაგზავნად... ეს საკუთარი ხალხის წინაშე გენოციდის მცდელობაა...

მთავრობის სასახლესთან, კარავში, სადაც ბატონი მაუგლი ჩხაკაძე შიმშილობს, სისხლის გადასხმის ინსტიტუტის თანამშრომლები მოვიდნენ...

— 5 წლის წინ 30 საწოლიც არ გვქონდა სისხლმწამლულთათვის ახლა 800 საწოლია და ავადმყოფები არც ეტყვიან...

აქ ყურნალისტიკის კომენტარი ზედმეტია... ვერც დაეჭვებო, რომ რომელიმე ქართველს, თანამდებობის პირსა თუ რიგით მუშაკს გახვთის ფურცლებიდან ხალხის სიყვარულის შესინება დასკირდება... არადა, ფაქტია — ჯვლავ უფალო შიმშილობა.

მანა ზალაზანიძე

# ნაიბილვა „ახალგაზრდა ივერიელს“

მოგმართავთ ოქტომბრის რაიონის პისარევის და ხრამჭვისს ქუჩებზე მცხოვრებ ქართველი მოქალაქეების სახელით. გვანსოვს, თქვენს ვაზეთში გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენს რაიონს თავისი ძველი სახელწოდება მახათას რაიონი დარქმეოდა, მაგრამ ჯერჯერობით ოფიციალურად ისევე დავალოთ სახელი იხსენებს მას, რაც ძალზე გულდასაწყვეტია. მითუმეტეს, როცა თბილისის ყველა რაიონს დაუბრუნდა ძველი სახელები. გარდა ამისა, ჩვენს რაიონში და განსაკუთრებით ჩვენს ძველ სვანეთის უბანში არის ბევრი ისეთი უსახური და არაფრის-მთქმელი ქუჩის სახელწოდებები, როგორცაა: ლამის ქუჩა, შრომის, არსენალოს, ხრამჭვისის, ახალი არსენალოს და ბევრი სხვა. მათ შორის არის ჩვენი პისარევის ქუჩაც. (მას შემოუერთდნენ ხრამჭვისს ქუჩის მცხოვრებნიც). გთხოვთ პისარევის ქუჩას დაერქვას დიდოსტატის კონსტანტინე არსაკიძის სახელი, ხოლო ხრამჭვისს ქუჩას საქართველოს უკანასკნელი დედოფლის მარია დედოფლის ქუჩა დაერქვას.

უშუალოდ დანათვლა შემოგვთავაზა. ველოთ თქვენს რჩევას და გთხოვთ ქალაქის ადმინისტრაციის უფალომდობლობა. პატივისცემით პისარევის და ხრამჭვისს ქუჩაზე მცხოვრები მოქალაქეები. 46 ხელმოწერა.

საქართველოდან უცხოეთში და რუსეთში ბევრი ცნობილი ადამიანია წასული. მათ შორის: პეტრე ბაგრატიონი, ვახუშტი ბაგრატიონი, ნიკო ბაგრატიონი და მრავალი სხვა, რომლებიც წასულნი არიან სოფელ მუხრანში. სოფელ მუხრანში დღესაც დგას ბაგრატიონების სასახლე, რომელსაც უტარდება კაბიტლური რესტავრაცია. დადა დრო, ბაგრატიონების სასახლეში გაიხსნას მუზეუმი, სადაც გამოფენილი იქნება მათი ნივთები, ფოტოლოკუმენტები და სხვა.

ეს იქნება თავისუფალი საქართველოს უნიკალური ისტორიული ძეგლი, ეს იქნება ბაგრატიონების უდიდესი დეპოზის მოგონება.

მანო გვადლოვილი, პერსონალური პენსიონერი, ყურნალისტიკა კავშირის წევრი.











# დაუქნდა შრომის პარტია

მიმდინარე წლის მისში ჩატარდა საქართველოს შრომის პარტიის დამფუძნებელი კონფერენცია. კონფერენციამ მოისმინა და განიხილა პარტიის წესდებისა და პროგრამის პროექტი, მიიღო დეკლარაცია-მიმართვა საქართველოს შრომელებისადმი.

კონფერენციამ ნათლად გამოიკვეთა საქართველოს შრომის პარტიის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის, საბრძოლო ამოცანები, რომელთა შორის უმთავრესია: საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ეკონომიკის თავისთავადობის მიღწევა, ტრადიციული სამეურნეო დარგების აღორძინება, მოქალაქეთა შრომითი უფლებების დაცვა და შრომის შედეგების სამართლიანი განაწილება, კლასთა ბრძოლის ანტიხალხური ხასიათის უარყოფა და კლასობრივი თანამშრომლობის ჰუმანური იდეების აღიარება.

საქართველოს შრომის პარტია აცხადებს, რომ ათეული წლების განმავლობაში ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში საბჭოური ნორმების დიქტატმა საბოლოოდ მოშალა ქვეყნის ეკონომიკა, მილიტარიზმის სამსახურში ჩააყენა მთელი სოციალური საქმიანობის სახელმწიფო ბიუჯეტი, გააბატონა მექროთამეობა და კორუფცია, გამოიწვია ეროვნული და ზნეობრივი დეგრადაცია, დაუნდობელი ექსპლუატაციისა და ფსევ-

ბის გამალებული ზრდის გამო შრომელები რეალურად უფლებამოსილებული და დაუცველი დატოვა.

ამიტომ აუცილებელი გახდა ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობა, რომელიც სისხლბორცველად იბრძოდეს თავისუფალი შრომის დაცვისა და ადამიანის რეალური საარსებო მინიმუმის გარანტიისათვის.

საქართველოს შრომის პარტია რეგულარულად გამოაქვეყნებს სათანადო ინფორმაციებს საარსებო საშუალებებთან რეალური მინიმუმის შესახებ და მოითხოვს იმ მთავრობის გადადგომას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს შრომელებს ამ მინიმუმით. პარტიის მთავარი დევიზია: კანონიერი შემოსავლით ნორმალური ცხოვრება.

საქართველოს შრომის პარტია ადამიანის პიროვნული თავისუფლების ეკონომიკურ საფუძვლად კერძოდ საკუთრების ხელშეუხებლობას მიიჩნევს, ხოლო ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიად — საკუთრების ყველა ფორმის თანასწორუფლებიან თანარსებობას.

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება ყრილობის მოწვევის შესახებ.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ტელმანის ქ. № 8. ტელ.: 35-21-79, 35-19-74.

**საქართველოს შრომის პარტიის საორგანიზაციო კომიტეტის სახელით:**

**დომინიკი საჭაბი,**  
**გურამ ლონღაძე,**  
**ზაურ ჩაჰანავა,**  
**გივი ხაჩიაშვილი,**  
**გულიან ურუშაძე,**  
**გიან ზოსტოლაძე,**  
**ჯემალ მარკოზია.**

## საპარტიო სახალხო ფრონტის ფრაქციის — ეროვნულ-ლიბერალური კავშირის —

# განსხვავება

ა. წ. 14 ივნისის „ახალგაზრდა ივრელი“ დაბეჭდილია ჩვენი მიმართვა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიისადმი, სადაც ტექნიკური მიზნების გამო გამოჩენილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-

სიტეტის უვალდო შიშობის აქციის მონაწილეთა მოთხოვნების მე-8 მუხლის ჩვენეული ფორმულირება: „შეჩერდეს სსრკ-ს კონსტიტუციის მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე“. გთხოვთ, გაითვალისწინოთ.

15 ივნისი, 1990 წ.

19 ივნისს, 18 საათზე, კინოს სახლში, ლომიძის 2, შედგება ფინდო ილია მართლის საზოგადოების თბილისის განყოფილების ღია კრება.

**ფინდო ილია მართლის საზოგადოების განყოფილება**


# მისგან დარბული თუთუბილა დაბერჩა...

ასპინძის გამოიშველებების ქარხნის თანამშრომლები ამ დღეებში უჭიანჭრულად გამოემშვიდობებენ ჩვენს ახალგაზრდა თანამშრომელს, 23 წლის გელა აბულაძეს, მისი სიცოცხლე უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. უფრო სწორად, თავად გასწორა თავი. ავტოავარიის დროს ერთი ოჯახიდან ორი ბავშვი გადავიარდა წყალში. სამწუხაროდ, მათი გადარჩენა ვერ მოხერხდა, მაგრამ უფრო სამწუხარო ის იყო, რომ ერთ-ერთი ბავშვის გვამიც ვერ იპოვნეს. და აი, იმ დანახულ დღეს ზალმა დაიძახა — მტკვარს ბავშვის გვამი მოაქვსო. ჩვენი ქარხანა სწორედ მდინარის პირასაა. გელა აბულაძე პირველი გადაეშვა წყალში, მაგრამ, საუბედუროდ, ტალღებს თავი ვეღარ დააღწია...

გელა ჩვენს ქარხანაში შარშან, ინდუსტრიული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მოვიდა. იგი ყველას უყვარდა. თვითაც კარგად შეეთვისა კოლექტივის წესი, გაზაფხულზე ექვსი ძირი თუთაეც დარგო ქარხნის ეზოში, მტკვრის ნაპირზე. ამბობდა: აქ თუთის ხეივანი უნდა გაავანოთ...

გაიზრდებოდა ის თუთები და გაგვანებდნენ ალალ, შრომის-მოყვარე, თავგანწირულ ბიჭს, რომელსაც სამშობლოსათვის ბევრი კეთილი საქმის გაკეთება შეეძლო და რომელიც ასე უდროოდ იმსხვერპლა ულმოებულმა ბედისწერამ.

ასპინძის გამოიშველებების ქარხნის თანამშრომლები.



ძნელი წარმოსადგენია ბედისწერის სიურპრიზები:

მერვე კლასში უცბად მოძრაობის უხარი წაერთვა. დედისერთა გავლდა. შობილები იმდენ არ ჰყარავდნენ. ექიმები ხან მაიმოსეულ სოფელში ცხენზე ჯდომას, ხან ცივ მდინარეში ცურვას აბრალეზდნენ ყველაფერს.

ჩვეულებრივი ბიჭი იყო, უჭირდა ბედთან შეგუება.

რამდენიმე წლის შემდეგ დედა გარდაეცვალა. დედას სჯეროდა, ოდესმე კვლავ ფეხზე რომ გაივლიდა მისი ნუგზარი. მალე მამასაც უმტყუნა გულმა, მერე ბებიასაც.

რატომ გაიბეჭდა ეს ყველაფერი? ნუგზარ გათენაძე რომ პირად გაიცნოთ, ჩემსავით სრულიად მოულოდნელი გარდაცვალება იპოვებთ და იმიტომ — შეცოდების კი არა, — გაოცების. დაიხ. გაოცების.

იგი ახლა 28 წლისაა.

პო, მართლა, ალბათ, აქამდეც უნდა მეთქვა თქვენთვის, რომ ნუგზარი ბავშვობიდან ხატავს. სასტუმრო ოთახში, სადაც ახლა ვსხედვართ, დღესაც ჰქვია მის მიერ მესხეთე კლასში დახატული მონაწილი ტილო — „ფროსმანის შველი“.

— ყველაზე საყვარელი ნახატები რომ თხოვო, გულს არ დაგწ-

# „მე უამილია გუბეზე გადახტომა“

ინც მოგვეწონა. ახლა გრეტა დეიდა ფანჯარასთან დგას და ჩუმად იტყვამლება. ნუგზარს არ უყვარს ცრემლები. იგი სულ დუმს. შეკითხვებზე ძუნწად გვპასუხობს, თუმცა ხალხით გვისმენს, ისევ სხვები გვეხმარებიან. თურმე ქალბატონ მანანას ძალიან უყვარს იასამანი. ამიტომაც დაუხატა ნუგზარ-

თვალი ასე, მაგრამ თითქოს ბოთლში ჩაეკეტებოდა ვართ, შეზღუდულნი. როგორ მოვიქცეთ, რომ განვითარდეთ?

ყოველ ნახატში სიკეთე და ბოროტება ებრძვის ერთმანეთს. რომელი იმარჯვებს ამაზე თავის აზრს არ გვიმხელს მხატვარი, თუმცა უჩვენებს, რომ ბოროტება მეტია



რმა. „ასე მგონია ოთახი იასამნის სურნელით აივსოსო“, — უხარია ქალს. მე ვგრძნობ, ნუგზარისთვის მართლა; დიდი სიხარულია, როცა მისი ნახატები მოსწონთ.

— ეკლესიას რატომ არ ხატავ-მეთქი, — გვიყვება ქალბატონი მანანა, — ასე მიიხრა, არ მინდა წიგნებიდან გადმოვხატო, სანამ ოდესმე მე თვითონ არ ვნახავო.

ამ ქვეყანაზე, ხოლო უფრო ძლიერია სიკეთე.

ერთ ნახატში „ცოცხლად დაძარცვა“ რომ ჰქვია, ადამიანი ლამისა დაძარცვოს ნიღბითა იმ გროვში, ყოველდღიურად რომ ორგებს ცხოვრებაში. ამ ნამუშევარში ხშირად ადამიანებს ცხოველთა სახეები აქვთ. ეს იმიტომ, რომ მხატვრის აზრით, მათი უმრავლესობა ქამელეონითაა — სახე ადამიანისა აქვს, მის არსებაში კი ცხოველია ჩაბუღებული. აგერ ამ ნახატში ცხოვრება მიღიდავს და მის სცენაზე ყველა თავის როლს ასრულებს — ზოგი კლოუნია, ზოგიც წმინდანზე ფეხებით შემდგარი ეშმაკი. სხვა ნამუშევარში ღროის უხილავი თოკებით ვართ შებოჭილნი. ვერსად გაეჭივები მას — უხილავს, შეუგრძობსა და ძლიერს.



ყვეტს, აუცილებლად გისახსოვრებებს, — გვეუბნება ქალბატონი მანანა, ნუგზარის მეზობელი (სწორედ მან დაგვირეკა პირველად მხატვრის შესახებ რედაქციაში).

— დახატული რომ აღარ მოეწონება, აუცილებლად სადმე დამამაღვინებდსო, — გვითხრა ქალბატონმა გრეტამ, ნუგზარის დეიდამ და ამჟამად მისთვის ერთადერთმა ყველაზე ახლობელმა ადა-

რალისტურმა მიმართულებამ გაიტაცა მხატვრობაში. იქნებ იმიტომ, რომ ეს ნახატები უფრო ამბობენ მის სათქმელს.

ერთ ნახატზე თითქოს მთელი ცხოვრება დატეულია. ცენტრში დაფიქრებული კაცი დგას და ბოთლში დაწვედულ თავის თავს შეჰყურებს. თითოეულს მუდამ გვაკვირდება ვიღაცის ფხიზელი



მანანა (იგი პირველ სკოლაში მუშაობს მათემატიკის მასწავლებლად). მან დისშვილის ნებართვით რამდენიმე ასე დაწუნებული ნახატი გვიჩვენა, რომელიც ჩვენ მა-



მანანა თხზავს





ბლოკადა პრაქტიკა

ლიტველი ითმენს, ბლოკადა კი — მისი ინიციატივით...

ლიტველი ითმენს, ბლოკადა კი — მისი ინიციატივით სვლს-წრაფი და მოუთმენელი — გრძელდება.



ლიტვის სიმბოლო — ღვთიური წამებული.

ვა რამდენიმე საზღვარგარეთულ რეკლამულ ვერ ჩამოვიდნენ...

აი, როგორ აფასებს ლიტვის მიმართ გატარებულ მოსკოვის პოლიტიკას...

ლიტვა ჭრჭერობით არც თუ ურიოდ ინარჩუნებს საკუთარ სახეს. მიუხედავად ყველაფრისა...

პრეზიდენტი

„იქნებ ისეც მოხდეს, რომ საბჭოთა კავშირის ხელისუფლება ზედმეტი შეიქნეს...“

ყოველგვარი დასაწყისი კი, რამხელა რისკანა დაკავშირებული, ყველას კარგად მოეხსენება...

კაცსაც ველაპარაკეთ ლიტვაში ვიტატას ლანდსბერგისზე, ლამის იმდენი აზრი მოვისმინეთ...

ჩვენ აქ არც პრეზიდენტის მომხრეების და არც მისი მოწინააღმდეგეების...

...ის იყო, ფენი დავადვით ვილნიუსის აეროპორტში, რომ პრეზიდენტთან ჩვენი დაუსრულებელი ნაცნობობაც დაიწყო.

ჩვენც შევხვდით... ოღონდ მანამდე ლოდინში ზუსტად ექვსი საათი გავატარეთ...

როგორ გეტყობათ, რომ ქართველები ხართ, მოუთმენლები (რა იცოდა, რომ რედაქციამ ყველაზე დინჯი ორი რაპეული მიგავალინა ვილნიუსში)...



ყოფილი პოლიტბატმარია პიატრას ცივიკასი — მას ლიტვაში მუდმივ მომხმეილეს ეძახიან.

ლისტი ზუსტად ერთი კვირა იჯდა ამ მისაღებში და წარბიც არ შეუხრია...

— მეტი, მიიღო პრეზიდენტმა? — არა, იცით, ვერაფრით მოიცალა. ქურნალისტმაც იცოდა, იცოდა და...

— აი, ჩვენ კი დღესვე წავალთ აქედან და თანაც ჭიბები ინტერვიუ გვექნება, — ვეპასუხობთ და ორივე მხარეს გულთანად გვეციუნება.

პრეზიდენტთან დაწყებულ დაუსრულებელ ნაცნობობას ახლა მის პირად დაცვასთან საუბარში ვგრძობლებთ:

— ვისგან და რისგან იცავთ პრეზიდენტს?

— ავი თვალისაგან, — ელიმებათ, — სიმართლე გითხრათ, ჩვენს პრეზიდენტს ჭრჭერობით მართლაც არ დასჭირვებია დაცვა. ისე დაზღვეულნი არაფრისგან არა ვართ, ბოლოსდაბოლოს ყოველთვის მოიძებნება ერთი მანიაკი...

— სანამ პრეზიდენტის დაცვას შეუდგებოდით, რას აკეთებდით? — ჩვენ ორივეს საკმაოდ კარგი პროფესია გვქონდა, გვიყვარდა კიდევ... პრეზიდენტის დაცვაში კი კარგი სპორტსმენობის გამო მოვხვდით, და კიდევ იმიტომ, რომ გვიყვარს და გვყვარა მისი.

— რისთვის გვიყვართ? — ნიქისთვის, გონიერებისთვის,

ბალტიის გზით — „გარუბდი, ლიტველი!“ უახლესიან ლიტველს საკუთარ სახლში

პასუხად ის ზოგჯერ ღუბს, ზოგჯერ ილიმება, ზოგჯერ, უფრო იზიანება, გულიანადაც იციენს. და ყოველთვის — ითმენს. ითმენს და თავის საკმარს აკეთებს.

გულისხმიერებისთვის... განა ეს ცოტაა?

— რა თქმა უნდა არა. მისაღებში ლიტველი პარლამენტარების მორიგი ჯგუფი შემოდის, ლიბანს ვაცხარებით კამათობენ ერთმანეთში.

ჩვენ თავისუფლებისაგან ბალტიის გზას მივყავართ, ერთად, ხელიხელჩაიდებული ლიტვა-ლატვია-ესტონეთი.

კაბინეტიდან ვასვლამდე, თვალით რომ ვიხილო, გვიხარებს, პრეზიდენტი თავისუფალ დროს (!) მუზიციურებით ირთობს თავსო.

ახალგაზრდობა

ვფიქრობთ ღმერთზე, ჯვარზე და სამშობლოზე. — გვითხრა ლიტვის ერთ-ერთი წამყვანი ახალგაზრდული ორგანიზაციის „ატე-იტინიკაი“ (მომავალი) წევრმა...

თავისუფალნი ვართ და ვიქნებით ჩვენს არჩევანში — ვინ დიდ პოლიტიკას გავყვებით, ვინ მოტოროლეტების ნმაურით გავაყრუებთ...

მეც ახალგაზრდობის პოლიტიკისადმი დამოკიდებულებაზე ვიტყვი ვით ორიოდ სიტყვას, — ჩვენს საუბარს „საიუდიისი“ მდევანი იურატე დაუხარავი იურატე გინაგრძობს, — ლიტვაში არც თუ ცოტა ახალგაზრდული ორგანიზაციაა და მით...

ჩვენ ახლანდელი მთავრობის კრიტიკისთვისაც ვგასაყვდურებ. მართალია, ბევრჯერ თუ მხარს ვუჭერთ მას, ხანდახან უნდა გავაკრიტიკოთ კიდევ, განა არსებობს სადმე მთავრობა, რომელსაც არაფერი ეშლება? ამასთან ახალგაზრდები მაქსიმალისტებიც ვართ...

ლიტველ ახალგაზრდობას, — განაგრძობს იგი, — დღეს ხშირად სწამებო პოლიტიკურ ინერტულობას. მიტინგებისა და დროშის ფრიალის დრო წავიდა თუ არა, პასიურონი ვახდენო. ეს არ არის სწორი. ახალგაზრდობა არასოდეს გამოეთიშება იმ ბრძოლას, რომელსაც ლიტვისთვის თავისუფლება მოაქვს. ოღონდ ამ ბრძოლასთან და საერთოდ, პოლიტიკასთან საკუთარი დამოკიდებულება გვაქვს — პოლიტიკის ზერეულ ხალხი არ უყვარს, ის მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულმა ადამიანებმა უნდა აკეთონ.

კომკავშირი კიდევ თუ არსებობს ჩვენთან? არსებობს, თუმცა სულს დაფარს... არა, პიკეტებს მას აღარავინ უწყობს, ეს წარსული ეტარება.



სტანისლავ ემეიტისის დაკრძალვა. საპატიო ყარაულში ეროვნული არმიის წარმომადგენლები დგანან.





# თავისუფლების გზით



მოსკოველი ექიმი გალინა სინია-ნსკაია ვილინიჭსში დაწვებული საპროტესტო შიშლიობის მონაწილეა.

პია, შარშან ხდებოდა კომკავშირის ყროლობის წინ. მაშინა, როგორც საერთოდ სჩვევია, კომკავშირმა მოატყუა მომიკრები — მთელ ქონებას ლიტვის ახალგაზრდობას, სხვადასხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციებს გადაეცემო, რომ შეიპირდა. რა თქმა უნდა, მსგავსი არაფერი მომხდარა. მაგრამ ჩვენ კომკავშირს ამჟამად მაინც ნაკლებად ვეზბრძვი, იდეოლოგიურ ბრძოლას ვგულისხმობ — ისიც რომ ფაქტობრივად ეროვნულ პოზიციას დავა, ლიტვის დამოუკიდებლობა სურს, ეკონომიკურად კი თავადვე მივა დასარულამდე, მაგალითად, ვილინიჭის უნივერსიტეტში ამჟამად 20 კაციღა დარჩა კომკავშირში. მათ განკარგულებაში დაახლოებით 14 ათასი მანეთია, ალბათ ამ ფულსაც რომ „გამოხრავენ“, დიშლენიან...

## წუ ვინაჩარებთ მსხვერპლად შევირვას

ძალიან ზომ არ ვჩქარობთ საკუთარი თავის მსხვერპლად შევირვას? — განგაშის ზარი ჩამოქრეს ლიტველებმა, როცა 9 მაისს კიდევ ერთმა ლიტველმა, პროფესორმა არქიტექტორმა რომანტას დავიგორტისმა დაიწვა თავი. პირველი მსხვერპლი კი 53 წლის სტანისლავ ემეიტისი იყო.

ემეიტისმა ლანდსბერგის და-მეტოვა წერილი: „მე გავმგზავრე მსოფლიოს, რათა ცოცხლად დავიწვა თავი წითელ მოედანზე. ოკუპანტებმა შეწყვიტეს საწვავის მოწოდება და ხალხი უშეშვარი რჩება. მთელი ჩემი ცხოვრება ოკუპირებულ ლიტვაში გავატარე. მე მოვკლავ თავს, რათა გორბაჩოვმა იცოდეს, ლიტველები არ იტოვებენ ლიტვას, რომელიც არ არის დამოუკიდებელი“.

საკლესმა, ჩვეულებისამებრ, ეს ფაქტიც დაამახინჯა, და თქვა, რომ ემეიტისმა ცოლს დაუტოვა წერილი, სადაც წერს, რომ აუტანელი ოჯახური პირობების გამო ვიკლავ თავსო.

ლიტველები ძალზე უფროხილდებიან საკუთარ და ერთმანეთის სიცოცხლეს — ყველაფერს უნდა გავუძლოთ და წონასწორობა არ დაეკარგოთ. ჩვენს მოწინააღმდეგეს სწორედ ჩვენი მდგომარეობიდან გამოყვანა სურს. ასე ის ფიზიკურადაც უფრო ადვილად გაგვისწორდება, ამბობენ ისინი. ემეიტისის დაკრძალვა საერთო სახალხო გლოვად იქცა.

ლიტვაში სხვა მსხვერპლიც არის. კაუნასში ჯარისკაცებმა ავტომობილის ჯირით დაცხრილეს 17 წლის ახალგაზრდა. საქმე ძიებაში; სიკვდილს ძლიერს გადაურჩა მედესანტრებისაგან უღომბლად ნაცემი საბჭოთა კავშირისა და ლიტვის უმაღლესი საბჭოების დეპუტატი ვაიშვილა, რომელსაც ლიტველები ლიტველ კომიკაქს ეძახიან. ის ყველაგანა, სადაც ლიტვის უჭირს. მედესანტრებმაც სწორედ მაშინ „გაიძეტეს“, როცა ის მათ სტამბის ალბაში უშლიდა ხელს.

## გადაღობა, საპროტესტო

ლიტვის რადიოს ახალგაზრდული პროგრამის „38-ე სიჩქარე“ ჟურნალისტები. საქართველოზე ამზადებდნენ სიუჟეტს. მათი თხოვნით, ვილინიჭში ჩასვლის მეროდღეს ჩვენც გავედით ლიტვის რადიოს პარდაპირ ეთერში. მსმენელს პირველი ლიტველი შთაბეჭდილებები გავუზიარეთ და შემდეგ ქა-

რთულადაც მივმართეთ: „საქართველო თქვენთანაა, საქართველოს სჯერა ლიტვის გამარჯვების!“

„38-ე სიჩქარე“ ყოველთვის პირდაპირ გადის ეთერში, მის მსმენელებს კი ასევე პირდაპირი სატელეფონო კავშირი აქვთ გადაცემის ავტორებთან. ნებისმიერ მათგანს, ყოველი სიუჟეტის გასვლის შემდეგ, დარეკვა და თავისი აზრის გამოთქმა შეუძლია. საქართველოზე სიუჟეტის გასვლის შემდეგ პირველმა ლიტვის ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარემ დარეკა და მადლობა გადაუხადა გადაცემის ავტორებს. შემდეგ ტელეფონი აღორც გაჩერებულა, რეკავდნენ ლიტვის სხვადასხვა კუთხიდან, სულ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები და მადლობას გვიხდოდნენ, გვლოცავდნენ. ცხადია, ეს მადლობა და დალოცვა ეპუთვნოდა მთელ საქართველოს — ლიტვის გაგებისა და მხარში დგომისათვის.

## ესაც უნდა დამოუკიდებელი აზრისა

აქ ვილინიჭურ პარადოქსებზე უნდა გიამბოთ. ისინი ძირითადად გზზე „რესპუბლიკის“ მიმომხილველმა ბრიგადა ბალიკენმ და მისმა კოლეგებმა გაგვანდეს. პირველი პარადოქსი თავად „რესპუბლიკისთანაა“ დაკავშირებული. ის დაარსების დღიდან ლიტვის ერთიანი ეროვნული მოძრაობა „საიაუდიისი“ საკუთარი გზებით და მისი მთავარი დასაყრდენი იყო. დღეს თავს თავისუფალ გზებით თვლის და ერთ-ერთი პირველი უღვას ოპოზიციში, უფრო სწორად კი — კრიტიკაში „საიაუდიისი“. ასევე პასუხობს „საიაუდიისი“ და ორივე მხარეს მოექცნება გასამართლებელი საბუთი, მაგრამ... ეს მაინც მათი პირადი საქმეა.

ახლა დანარჩენ პარადოქსებსაც მივხედოთ:

ვილინიჭში სოკობივით მრავლდება კომერციული მალაზები, სადაც თითო ნივთი (მაგალითად, ფეხსაცმელი) ასობით მანეთი ღირს. მყიდველი კი მაინც არ იღვევს; ვილინიჭშივე გაიხსნა სპეციალური პუნქტები, რომლებიც ქალაქის მოსახლეობისაგან იბარებენ ნახარ ნივთებს და შემდეგ მათ გალატაქებულ თანამოქალაქებზე ანაწილებენ.

ვილინიჭში შედგა ვალუტის აუქციონი, დოლარი 16-17 მანეთი ღირდა, ოღონდ მსურველს ერთად უთუოდ 1000 დოლარი მაინც უნდა ეყიდა. დოლარები თვალის დახამხამებაში გაქრა; ვილინიჭშივე გაიხსნა სასაიდლო უქონელთათვის, სადაც ქალაქის ლატაკი მოსახლე-



9 მაისი, ჯარისკაცები ვილინიჭის ქუჩებში.

ობა სპეციალური ტალონებით უფასოდ იკვებება. ერთ-ერთი კომერციული მეგა-ლეობის წარმომადგენლებმა მეგა-ლეობის ტერიტორიაზე ნაღმი გაოვეს; ვილინიჭში ყველაფრის ივსამუხტავად ჩამოყვანილმა სამხედროებმა კი ნაღმი გაუფრებელ ყოფაზე უარი განაცხადეს.

ვილინიჭში დაიწყეს ძაღლების დაზღვევა. პირველი ძაღლი, სახელი „ბესტია აპოკალიფსისი“ წელიწადში 200 მანეთად დააზღვეეს. ბრიგადა ბალიკენმ კი სეველიანდ გაგვანდო, თავად მე ბევრად ნაკლებ თანხას ვიხდი საკუთარი სიცოცხლის დაზღვევაში... მოკლედ, ვილინიჭი, სხვასთან ერთად, პარადოქსების ქალაქიც ხდება. ერთმა პარადოქსმა კი ლიტვი-

ოდან ერთხანს მოსკოვში „გადაგვანაცვლა“.

აფრიკის დამოუკიდებლობის დღეს „რესპუბლიკის“ კორესპონდენტმა გადაწყვიტა მოსკოვში დაეყო და დამოუკიდებლობა მიელოცა ახლახან გათავისუფლებული უკრაინელი აფრიკული კოლონიის — ნამიბიის მოსკოველი წარმომადგენლებისათვის. მაგრამ აღმოჩინა, რომ ნამიბიის საელჩო მოსკოვში მხოლოდ შემოდგომაზე გაიხსნებოდა. „რესპუბლიკის“ კორესპონდენტი არ დაბნეულა და ახლა მომე ზამბიელი ხალხის გახარება სცადა. ზამბიის საელჩოში ყურმილი აიღეს და როცა გაიგეს, საიდან ულოცავდნენ, ოფიციალურად მოახსენეს — მილოცვაზე პასუხს ორი საათის შემდეგ მოგახსენებოთ. ორი საათის შემდეგ „რესპუბლიკის“ კორესპონდენტს მართლაც გააცნეს მილოცვაზე ოფიციალური პასუხის ტექსტი. შემდეგ კი ჩაიწერეს მისი ყველა კოორდინატი და ყურმილი დაუკიდეს. ესეც უნდა დამოუკიდებელი აფრიკა!

## გაჩუხდი, ლიტველო!

ჩვენი წერილის სათაურში გამოტანილი ეს სიტყვები ვილინიჭში ტროლეებში მოვისმინეთ. რუსის ქალი, რომელიც ამას გამწვარებული გაჰყოფდა, გაჩერებულე თავად გამოგველაპარაკა:

სტუმრად ჩამოხვედით?... მერე ამაზე უკეთესი დრო ვერ შეარჩიეთ? ვერ ხედავთ, ხალხი როგორაა გამეცეხებული, ლამის ერთმანეთი დაჰამონო. რა გითხრათ, მესამე დღეა, ვილინიჭში ვართ და ირგვლივ მხოლოდ შესაშური წესრიგი და სიმშვიდე სუფევს, ყველა თავის საქმეზე მიიჩქარის, მგონი, ერთმანეთის კამისათვის არავის უნდა ეცალოსო, შევეპასუხეთ. ამასობაში ტროლეებშიც ჩამოვდა. სამივენი ავედით. ქალი წინ გავიდა და ის იყო, კიდევ მიგვიავწყდა, რომ მისი გამყინავი ხმაც გავიგონეთ: „გაჩუხდი, ლიტველო, თორემ...“ ამ სიტყვების უმაღ, ლამის განაჩენივით რომ გაისმა, ირგვლივ საბრისებური სიჩუმე ჩამოწვა და... შემდეგ მთელ ტროლეებს გულიანი სიცილის ტალღამ გადაურბინა... ჩვენც გავველიმა, მაგრამ შემდეგ კი...

სიმართლე გითხრათ ეს ფაქტი იმდენად ლიტველების მოთმინების დასტურად არ მოგვიხშია აქ, რამდენადაც ქართველების მოთმინების გასაზომად. არა, ჩვენ ლიტველისა თუ ქართველის ხასიათების სერიოზული წვდომისა და შედარების პრეტენზიას როდი ვაცხადებთ. ის კი არადა, ამ ზედაპირული შედარების გაეთებაც მხოლოდ მას შემდეგ გავხედეთ, რაც საქართველოში დაბრუნებულებმა პირგამა „მოამბეში“ კიდევ ერთი ტრავიკული ამბავი მოვისმინეთ,



# მეაღობთ, ექსტრასენსო!

ბოლო ხანებში საქართველოში ბუშია ექსტრასენსების, მათგან ცოტა როდია ისეთი, ვინც გაუმართლებელი, მიუღებელი ზერზებით ცდილობს მუკრნალის სახელის მოპოვებას, ყოველივე ამის გამო, რედაქციაში მოდის განაწყენებულ, გაცრუებულ პაციენტთა ბარათები. ამბობ, ჩვენი გაზეთი ექსტრასენსზე მასალის ბუბლიკაციამდე შეძლებისდაგვარად არაკვებ თითოეულის შესაძლებლობას. ასე იყო ამჟერადაც. დღეს გაგაცნობთ ქალბატონ ლილი ძამაშვილს, რომელსაც ბევრი ემადლიერება. დარწმუნებული ვართ, რომ მას ბევრი სიყვითის მოტანა შეუძლია.

## ქალბატონ ლილი ძამაშვილი

მისთვის სრულიად მოულოდნელად დაუდგინდა ეს ფენომენი. სამი წლის წინათ მას მეუღლე გარდაეცვალა, გაუღარებდა ჯანმრთელობა — გრძნობდა პაერის თერაპიის, სისუსტეს, გაუნშირდა გულის ცემა, უცებლდებოდა ხელის და ფეხის გულეები. ზოგჯერ იმდენადაც კი, რომ, როგორც გვითხრა, იძულებული იყო დიდხანს ჰქონოდა ხელ-ფეხი ცივ წყალში. ასე იყო ზამთარშიც. მერე გაჩრკვა, რომ მას ჰარბად ჰქონდა ეს მინაცემები. ძლიერმა ბოლენებმა განსაზღვრა კიდევ მისი არჩევანი. დაეუფლა უქონტაქტო ბიომასაჟის მეთოდებს, დაიწყო მკურნალობა. დღეს მას უამრავი პაციენტი ემადლიერება.

და ეს კარგად ჩანს კიდევ მათ ჩანაწერებში: „ქალბატონ ლილისთან კისრის გაშეშების გამო მივედი, მაგრამ მაწუნებდა ოსტეონდროზი, თვალბის წვა, 5 სეანსის შემდეგ თვალბის წვა და თხანა სრულიად მომეხსნა, გამიქრა ზურგის არეტი ტკივილებიც, რაც შეიხება კისრის გაშეშებას, რის გამო ძალიც დაკარგული მქონდა, გჭკა პირველდვე სეანსს შემდეგ. ახლა თავს ძალიან კარგად გრძობ“ — წერს 52 წლის რაისა ნონიკაშვილი.

„მუცლის არეში მწვავე ტკივილების გამო მოვხვდი საავადმყოფოში. დიაგნოზი ასეთი იყო: მწვავე გასტრიტი და კუჭის წყლული. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოვეწერე, მაგრამ ტკივილები მაღე განმიახლდა. მივედი ლილისთან. მან ჩამიტარა 15 სეანსი ტკივილების შეგრძნება გამიქრა პირველივე სეანსის შემდეგ. ახლა თავს ძალიან კარგად გრძობ“, — წერს 64 წლის გალინა გრიგორიანიც.

„ამა წლის 15 აპრილს დილით უეცრად გამიჩრდა მარცხენა ფეხი, ვერ ვმოძრაობდი. ოჯახის წევრების დახმარებით საწოლამდე ძლიერს მივაღწეე. ტკივილი გამძლიერდა, იძულებული გავხდი გამეკრებინა ნოვოკაინის ბლოკად, ტკივილი დროებით შემიჩრდა, მაგრამ მხოლოდ ერთ საათს. იმავე დღეს, რადგან მე სიარული არ შემიძლო, სახლში მიი-

ყვანეს ქალბატონი ლილი. მან ჩამიტარა სეანსი, პირველივე სეანსის შემდეგ შეეძლო წამოდგომა და გავლა. ოთხი სეანსის შემდეგ კი მთლიანად გამოვჯანმრთედი. ამჟამად თავს კარგად გრძობ. დიდი მადლობა ქალბატონ ლილის „ცხელი ხელებისა“ და უსაზღვრო დიდი გულისათვის“, — წერს 44 წლის მანანა კბილაშვილი, პროფესიით ექიმი. მაქცევე ყურადღება, მნიშვნელოვანი დეტალია ის, რომ ჩანაწერის ავტორი პროფესიით ექიმი. „ქალბატონ ლილისთან სმენის დაქვეითების გამო მივედი. მან გულისსმირად მიმიღო, ჩამიტარა 10 სეანსი და სრულიად განმკურნა“, — წერს ლაურა მკველიძევილი.

„მქონდა მწვავე რადიკულიტი. ეს დაავადება 20 წელია მაწვალებდა, იყო შემთხვევები თვეობით ვიყავი ლოგინს მიჯაჭვული. ქალბატონ ლილისთან პირველივე სეანსის შემდეგ ვიგრძენი შეება. ღამით მიძინა მშვიდად, მეოთხე სეანსის შემდეგ უკვე დამავიწყდა გადატანილი ტკივილები. ახლა თავს სრულიად ჯანმრთელად გრძობ“ — წერს თბილისელი იზოლდა გიუაშვილი.

„ბავშვობისას გადატანილი ტრავმის შედეგად დამჩრა თავისა და კისრის კანკალი. მოგზვდი ქალბატონ ლილისთან, მეზუთე სეანსის შემდეგ კანკალი მომეხსნა“, — წერს 41 წლის გოჩა ჯოხაძე.

ჩანაწერებიდან ფრაგმენტების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ ქალბატონი ლილი ძამაშვილი ნაღმი ექსტრასენსია, შეუძლია ადამიანი განკურნოს ისეთი ღვაფადებებისაგან, როგორცაა გულის დაავადებები — იშემია და სტენოკარდია; გასტრიტი, ოსტეონდროზი, შიდა ქალის წნევა, წყულუოვანი დაავადებები, სმენის დაქვეითება, პროსტატა, ალერგიული დაავადებები, ჰიმიორტი და სხვა. მისი მისამართია — თბილისი, ნუტუბიძის III მიკრორაიონი, I კვარტალი, VIII კორპუსი, ბ. 26.



